ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №37

2011 წლის 11 მაისი
ქ. ქობულეთი

„შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ქობულეთის წყალი“ დაფუძნების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 8 სექტემბრის №-306 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ქობულეთის წყალი“ დაფუძნების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 8 სექტემბრის №-306 ბრძანებით დამტკიცებულ შ.პ.ს. „ქობულეთის წყალი“-ს წესდებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-5 მუხლის 5.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 5.1 საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 258 400 (ორასორმოცდათვრამეტი ათას ოთხასი) ლარს ფულადი შენატანით და წარმოადგენს 100 %-იან მუნიციპალურ საკუთრებას”.

№	პარტნიორის დასახელება	საწესდებო კაპიტალში შენატანი	წილი საწესდებო კაპიტალში %
	ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	258 400 ლარი	100

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე